საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კიკალიშვილი ლიანა ავთანდილის ასული

კიკალიშვილი ლიანა ავთანდილის ასული (დ. 7. VIII. 1951, მარტვილი), ტოპოგრაფანატომი. მედ. მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (2002). 1974 დაამთავრა თსსი. ინ-ტის დამთავრების შემდეგ მუშაობს ამავე ინ-ტის (ახლანდ. უნ-ტი) ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრაზე, 1999–2004 კათედრის პროფესორია, 2009- იდან – დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

კ. იკვლევს ღვიძლის მორფოლოგიის საკითხებს. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 5 სახელმძღვანელოს ავტორი.

არის მრავალი სამეცნ. საზ-ბის წევრი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2000).

თხზ.: თავისა და კისრის ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია, თბ., 2006; ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია, თბ., 2014; Clinical Anatomy by Regions, Tb., 2012.